სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება N 33

თბილისი

ვმოქმედებთ, რა საქართველოს კანონმდებლობის და `სახელმწიფო შესყიდვების შესახებ~ საქართველოს კანონის შესაბამისად, ამავე კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს[1]" ქვეპუნქტის საფუძველზე, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას

1.ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1.`ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ~ (შემდგომ _ `ხელშეკრულება~) _ `სახელმწიფო შესყიდვების შესახებ~ საქართველოს კანონისა და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტის საფუძველზე შემსყიდველ ორგანიზაციასა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებებით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.
1.2.`შემსყიდველი ორგანიზაცია~ (შემდგომ `შემსყიდველი~) ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვას;
1.3.`მიმწოდებელი~ ნიშნავს იურიდიულ ან ფიზიკურ პირს, რომელმაც შემსყიდველთან გააფორმა ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ;
1.4.`ხელშეკრულების ღირებულება~ ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;
1.5.`დღე~, `კვირა~, `თვე~ ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს.

2.ხელშეკრულების დამდები მხარეები

ერთი მხრივ - სსიპ - სოხუმის კონსტანტინე გამსახურდიას სახელობის პროფესიული დრამატული თეატრი~, წარმოდგენილი მისი სამხატვრო ხელმძღვანელის დავით საყვარელიძის სახით (შემდგომში - შემსყიდველი) და მეორ მხრივ **შპს „შოუ ტექნიკის ცენტრი"** (შემდგომში - მიმწოდებელი). ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

3.ხელშეკრულების საგანი
3.1. წინამდებარე ხელშეკრულების საგანია 100 მ. კაბელისა და მასთან დაკავშირებული მასალების შესყიდვა. **Cpv 44320000**

4.ხელშეკრულების ღირებულება

4.1. ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების ჯამური ღირებულებაა 680 (ექვსას ოთხმოცი) ლარი, კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადების ჩათვლით.
4.2. შემსყიდველი ანგარიშსწორებას ახორციელებს მიღება-ჩაბარების აქტის ან/და ანგარიშფაქტურის გაფორმებიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღის განმავლობაში, უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მიმწოდებლის რეკვიზიტებზე.
4.3. დაფინანსების წყარო - ა./რ ბიუჯეტი

5. შესაბამისობა

5.1.მიმწოდებლის მიერ ამ ხელშეკრულების თანახმად შესასყიდი საქონელი/ან/მომსახურება უნდა შეესაბამებოდეს გათვალისწინებულ პირობებს.

6. მიღება-ჩაბარების წესი

6.2.მიმწოდებლის მიერ საქონელი მიღებულად ჩაითვლება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების ან/ და საგადასახადო ფაქტურის წარმოდგენის შემდეგ.

6.3. საქონლის/მომსახურების შემოწმებას და მიღება-ჩაბარებას ახორციელებს შემსყიდველი ორგანიზაციის სამხატვრო ხელმძღვანელი დავით საყვარელიძე.

6.4. ვადასტურებთ, რომ ჩვენი მონაწილეობა მოცემულ გამარტივებულ შესყიდვასთან დაკავშირებით არ ეწინააღმდეგება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მოთხოვნებს და არ ვიმყოფებით ინტერესთა კონფლიქტში.

7. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

7.1. მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) ხელშეკრულების 3.1 პუნქტით გათვალისწინებული საქონლის მოწოდება განახორციელოს 2023 წლის 20 ივნისამდე ;

ბ) მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ მის მიერ მიწოდებულ პროდუქტს არ აღენიშნება დაზიანება, ნაკლის ან ხარვეზის გამოვლენის შემთხვევაში, ნივთი ექვემდებარება შეცვლას.

7.2. შემსყიდველი ვალდებულია:

ა) ჩაბარების ვადები განსაზღვროს მიმწოდებელთან შეთანხმებით;

8. ფორს-მაჟორი

8.1.ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და მიმწოდებლისათვის ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას.

8.2.ამ მუხლის მიზნებისათვის `ფორს-მაჟორი~ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

8.3ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელნი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

9.ხელშეკრულების შეწყვეტა

9.1.ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარეს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების შეწყვეტის შესახებ.
9.2.ხელშეკრულების დამდები მხარე, რომელიც მიიღებს ასეთ გადაწყვეტილებას ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს მიღებული გადაწყვეტილება, მისი მიღების საფუძველი და ამოქმედების თარიღი. აღნიშნული შეტყობინება უნდა მიეწოდოს მეორე მხარეს გადაწყვეტილების ძალაში შესვლამდე მინიმუმ 10 სამუშაო დღით ადრე.
9.3.ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.
9.4.ხელშეკრულების შეწყვეტა პირობების დარღვევის გამო არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეუსრულებლობისათვის გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან.
9.5.შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ აგრეთვე:
ა)თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;
ბ)საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

10. დავების გადაწყვეტის წესი
10.1.ხელშეკრულების დამდები მხარეები თანხმდებიან მასზედ, რომ ყველა ღონეს იხმარენ, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების მეშვეობით შეთანხმებით მოაგვარონ ნებისმიერი უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული საკითხების ირგვლივ.
10.2.თუ შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შესძლებენ სადაო საკითხების შეთანხმებას, ნებისმიერ მხრეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

11.ხელშეკრულების მოქმედების ვადა
11.1.წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს ვალდებულებს 2023 წლის 30 ივლისამდე.

12.მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

შემსყიდველი:

სსიპ სოხუმის კ. გამსახურდიას სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრი~, მისამართი: ქ. თბილისი, უზნაძის 68, სახელმწიფო ხაზინა საიდ. კოდი #249251731, სახელმწიფო ხაზინა TRESEGE22. ა.ა. 740153459

სამხატვრო ხელმძღვანელი
დავით საყვარელიძე

K. Gamsakhurdia Sokhumi Professional State Drama Theatre
Digitally signed by K. Gamsakhurdia Sokhumi Professional State Drama Theatre
Date: 2023.06.14 17:21:15 +04'00'

მიმიწოდებელი
შპს „შოუ ტექნიკის ცენტრი“ ს/ნ 205073212 ს.ს. პროკრედიტ ბანკი, კოდი:BAMIBGGE22 Aa/a GE47PC0133600100064179

დირექტორი ზაზა გაბელაია

Zaza Gabelaia 61001015572
Digitally signed by Zaza Gabelaia
Date: 2023.06.14 16:55:52